საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA
Legal Entity of Public Law
State Regulation Agency for Medical Activities

KA030229990669218

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 725 384
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 725 384

№ 02/15828 **19 / მარტი / 2018 წ.**

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს, ქალბატონ სოფიკო ბელქანიას

ქალბატონო სოფიკო,

2018 წლის 14 მარტის თქვენს N01/14870 წერილთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ ნივთიერება - ალფა-ფენილაცეტოაცეტონიტრილი (alpha-Phenylacetoacetonitrile (APAAN), გაეროს 1988 წლის საერთაშორისო კონვენციის სიის N1 ცხრილს დაემატა 2014 წლის 6 ოქტომბერს. შესაბამისად, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება და აღნიშნული ნივთიერება დაემატა კანონის IV სიის №1 ცხრილს (10.12.2015 წელი).
რაც შეეხება ნივთიერებებს: *N*-Phenethyl-4-piperidone (NPP) და *N*-Phenethyl-4-piperidone (NPP), რომლებიც 1988 წლის კონვენციის სიის N1 ცხრილს დაემატა 2017 წლის 8 ოქტომბრს, გაცნობებთ, რომ „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში უნდა შევიდეს ცვლილება. აღნიშნულზე პროცედურები დაწყებულია. ინფორმაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 1988 წლის კონვენციის N1 და N2 ცხრილებში შესულ ნივთიერებებზე დაწესებული კონტროლის შესახებ მოცემულია დანართი N1-ში.
ასევე, გაწვდით პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის მარეგულირებელ დოკუმენტების ნუსხას:
საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ რუსულ ენაზე (დანართი N2);
2016 წლის 1 ივლისის საქართველოს მთავრობის დადგენილება „პრეკურსორების იმპორტის ან ექსპორტის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ინგლისურ ენაზე (დანართი N3).
დამატებით გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია სსიპ-სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს (კომპეტენტური ეროვნული ორგანო) მიერ გადაეგზავნება გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტს.

პატივისცემით,

ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

თეა ჯიქია